ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD)



განხორციელების ვადა: 27.12.2021 - 30.09.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
United Nations Development Programme (UNDP)

პროექტის ვებსაიტები: undp.org/georgia/projects/eu4itd

პროექტის აღწერა:

ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ხელშეწყობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. პროგრამა ხორციელდება ოთხ სამიზნე რეგიონში: გურია, იმერეთი, კახეთი და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.
პროექტი ხელს უწყობს საქართველოს სამიზნე რეგიონებში ინტეგრირებული რეგიონული განვითარების საპილოტე პროგრამისა (PIRDP) და ეროვნული დეცენტრალიზაციის 2022-2025 წ სტრატეგიის განხორციელებას.

მოსალოდნელი შედეგები:

ფაქტებზე დაყრდნობილი და ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე;
მომხმარებელზე ორიენტირებული და ხარისხიანი საჯარო სერვისების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
ადგილობრივი ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას;
ეროვნული დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელებას.